№1776 2015 წლის 25 აგვისტო ქ. თბილისი

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ-ის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ მრავალწლიანი სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 2 მაისის № 780 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ-ის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ მრავალწლიანი სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 2 მაისის № 780 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ელექტრონული ჟურნალის ინფრასტრუქტურული განვითარებისა და განთავსების - Production and Hosting of Journal - მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა 2015-2018 წლებში.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**